# სამშობლოსათვის

პარიზი, სამშაბათი 30 ივნისი 1925 წ. | No. 4. | Paris, Mardi 30 Juin 1925

ეროვნული პოლიტიკის ორგანო სპირიდონ კედიას რედაქტორობით.

Journal Géorgien «POUR LA PATRIE», Organe de la Politique Nationale, Directeur: SPIRIDON KEDIA.

ფასი 2 ფრანკი | Rédaction et Administration: 9, Rue Oudinot — PARIS (7e) Téléphone: Ségur 57-36 | **Prix: 2 frs.**

## ბოლშევიზმის ბედი.

ბოლშევიზმი, როგორც სახელმწიფოებრივი რეჟიმი, თავის დაბადების დღიდან არის განწირული. სხვისი ხელით მოკვდება, თუ თანდაყოლილი სენით, იგი ორსავ შემთხვევაში უნდა მოკვდეს. როგორც იდეოლოგიური განზრახულება, იგი მთელი თავის ბუნებით ეწინააღმდეგება ამდენი კულტურის მემკვიდრე კაცობრიობის თანამედროვე ფსიხოლოგიას. როგორც მეთოდი, იგი უარყოფაა თავისუფალ ნებისყოფაზე დამყარებული რეჟიმისა, ამ ჩვენი დროის ბოლო მიღწევის; და როგორიც არ უნდა იყოს ამ უკანასკნელის დროებითი სხვადასხვა გვარი შეფერხება, თანამედროვე საზოგადოების ნორმალური და მშვიდობიანი ცხოვრება არ შეიძლება ამ ძირითადი საფუძვლის გარეშე.

მიუხედავათ ჯალათური წესების, სისხლის ღვრისა და ტერორის, მიუხედავათ ჩეკის ყოველგვარ წარმოდგენას გაცილებული წამება-სისასტიკისა, ბოლშევიზმი ამ ქვეყანათ ვერ იმეფებს. მთელი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ტირანთა ერთი მუჭა დაუსრულებლათ ვერ იბატონებს, რა წესებსაც არ უნდა მიმართოს. მისი არსებობა წინააღმდეგია კაცისა და ღვთის კანონის, და როგორც ესეთი, იგი საფლავს უნდა ჩაბარდეს. რომ დღემდე კიდევ სული უდგას, ეს არ არის საბუთი მისი ცხოველმყოფელი ხანგრძლივობის. ეს წმინდა რუსული სინამდვილის წყალობაა: იმ ბეჩავი რუსის ხალხის წრეს გადასული პასიობისა, რომელიც მორჩილებით იტანს ყოველგვარ ზევიდან დადგმულ მონობის უღელს და აგრეთვე ვეებერთელა რუსეთის აუარება დაგროვილი სიმდიდრის.

როგორც ტყეს მოდებული ცეცხლი ჩაქრება, როდესაც უკანასკნელი ხე მის ალში ამოიწვის, აგრეთვე ბოლშევიზმიც. ეკონომიური განადგურებისა და სოციალური ყაჩაღობის მომღვრება და ორგანიზაცია, რომელიც სრული უარყოფაა ეკონომიური შემოქმედების ბუნებრივი წესების, ბოლშევიზმი ვერ იცხოვრებს, თუ არ ძარცვით, წართმევით და სიმდიდრის გატაცებით. ამ მხრივ, მისი საქმე რუსეთში გათავებულია. აქ სიმდიდრის უკანასკნელი თაროები ცარიელდება და მას სიკვდილის სიცივე გარს შემოადგა.

მაგრამ ჯერ კიდევ ვიდრე პირში სული უდგას და მოქმედების ძალა შესწევს, იგი თავის სამშობლოში მოახლოვებულ სიკვდილს არ ნებდება და მის გარეთ დაეძებს თავის საკვებ მასალას. იგი მსოფლიო რევოლუციაში და საერთაშორისო ყაჩაღობაში ხედავს თავის არსებობის გახანგრძლივების საშუალებას. დღეს მარტო ესაა მისი სიცოცხლის წყარო და ამიტომაც იგი ძალიან ღრმათ შეჰყვა ამ გზას. დიდ ძალი სააგიტაციო ოქრო და მრავალ რიცხოვანი პროპაგანდისტთა რაზმები დაბანდა სხვადასხვა ქვეყანაში. თუ სხვები საბჭოთა რესპუბლიკებს იმ მიზნით სცნობდენ, რომ მათგან ეკონომიური სარგებლობა მიეღოთ, თვით საბჭოთა მოსკოვი ამ ცნობას იყენებდა მხოლოთ თავის პროპაგანდისათვის. პირველნი ანგარიშში მოსტყუვდნენ, და ამ ურთიერთობით მარტო მოსკოვი დარჩა მოგებული. მისი წარმომადგენლობანი უცხოეთში ნამდვილ საპრაპაგანდო ბიუროებს წარმოდგენენ. ამ მხრივ, კიდევაც აშკარა შედეგებს მიაღწია: ატმოსფერა ყოველგან მოწამლა და იმდენათ, რომ უკვე გრძნობენ სიცოცხლის საფრთხეს. მოსკოვმა ყოველგან დიდი მუშაობა გააჩაღა: როგორც ბალკანეთის ქვეყნებში, ისე თვით საფრანგეთსა და ინგლისში; როგორც კოლონიებში, ისე დღეს თვით ჩინეთშიაც. გახშირდა ქუჩებში შეტაკებები და სისხლის ღვრანი.

ზინოვიევი და ტროცკი დღეს შანჰაიდან, კალკუტიდან, ფეციდან და ქაირიდან ემუქრებიან ინგლისსაფრანგეთის არსებობას. თუ დღემდე ევროპის ქვეყნები ასე გაუფრხილებლათ იახლოვებდენ საბჭოთა მოსკოვს და მის ბაცილების გამხრწნელი თვისებისა არ ეშინოდათ, დღეს ამ შეცდომას უკვე ხედავენ. უკვე არ მალვენ, რომ მოსკოვი მართლა სერიოზუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაი ემუქრება საერთაშორისო მშვიდობიანობას და საკაცობრიო ცივილიზაციას. ინგლის-საფრანგეთი რეალურათ გრძნობენ იმ ნამდვილ საფრთხეს, რომელსაც მოსკოვი მათ უმზადებს.

მოსკოვის კომუნიზმი და ევროპის კაპიტალიზმი დღეს ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოთ ხვდება. რევოლუციები და კოლონიების აჯანყება, ეს მოსკოვის თვითარსებობის საკითხია. რევოლუციების თავიდან აშორება და კოლონიების სიმშვიდე ეს ინგლისის, საფრანგეთის და საერთოთ მთელი ევროპა-ამერიკის თვითარსებობის და კეთილდღეობის საკითხია. რომელი მხარეც დასთმობს, იგი აიღებს ხელს თავის არსებობაზე. ან საკითხი უნდა ძალამ გადაჭრას. შემომტევია მოსკოვი, - იგი ვერ დათმობს: დღეს ისეთ ფაზაში შევიდა, რომ მას სხვა გამოსავალი არ აქვს; ხოლო მოქმედების ხასიათი მას არ აკლია. რას იზამს ევროპა? იარაღს დაყრის და წინ გაეგება თავდამსხმელ ბოლშევიზმს, თუ იარაღს აისხამს და შეებრძოლება. საამისო ნებისყოფას ევროპა გამოიჩენს თუ არა, - მისი არსებობაც ამაზე ჰკიდია და არსებობა-კი, ნებაყოფლობით არავის დაუთმია.

თუ შინ დარჩა, ბოლშევიზმი თავის დღით მოკვდება, თუ გარეთ გადმოაბიჯა, — სხვისი ხელით. თუ რომელს არჩევს, ეს გემოვნების საკითხია. მაგრამ ადრე, თუ გვიან, ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე ბოლო მოელის და ჩვენთვის მნიშვნელობაც სწორეთ ამას აქვს.

---

### საქართველოსათვის.

> ხალხი, რომელიც მაღალის ნიჭიერებით არის შემკული, რომელსაც ისტორიული ცხოვრებით უცხოვრია, და მრავალი განსაცდელი გამოუცდია, ის ხალხი უბედურების ჟამს აღმოიჩენს ნებისა და ხასიათის ძალასა.
>
> დიმიტრი ბაქრაძე.

ვის შეუძლიან დაემდუროს ქართველ ხალხს? ვის აქვს კიდევ ეჭვი იმაში, რომ მან თავისუფლებისათვის ბრძოლა — შეუწყვეტელი და დაუღალავი — წარუშლელ მცნებად არ გამოსახა ერის სისხლში განბანილს ქართულს ბაირაღზე?

თავგანწირული ბრძოლა საქართველოს დახსნისათვის არც გათავებულა და, ეხლა უკვე შეგვიძლიან დამტკიცებით ვთქვათ, არც გათავდება, ვიდრე უცხო მონობის უღელი არ იქნება გადაგდებული ერთხელ და სამუდამოდ, ვიდრე არ შეიმუსრება საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული ყოველი გარემოება, გარედან მოსული, თუ შინ მყოფი...

იქნებ არიან აქაიქ ისეთები, რომელთაც ეხლაც არ სჯერათ ჩვენი ხალხის მტკიცე გარდაწყვეტილება აღუდგინოს სამშობლოს თავისუფალი ცხოვრება? ვაი თუ ზოგიერთ ვიწრო ჯგუფურ მოსაქმეობას საქართველოს ამოძახილის დაღი ესმება? იქნებ ისიც ჰგონიათ, რომ საქართველომ თითქოს ვისმეს მიანდო უხსოვარ დროთა სიღრმიდან ტანჯვითა და სასოებით გამოტანილ სახელმწიფოებრივ თვითმყოფობისათვის „გარდამავალი მოვლენის“ სახელწოდების მინიჭება? ან იქნებ ერის თვისებათა შემნახველი უმაღლესი და ცხადი საგნები გამომდინარეობენ იმ ყოვლად მობეზრებული მარქსისტული „ეკონომიკისაგან“, რაიც ამ ჟამად მეცნიერებაში ბრიყვულ მცნებად არის მიჩნეული?

არა გჯერათ, რომ საქართველო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არის ჩართული? არ იცით, რომ ის საომარ მოქმედებაშია მას შემდგომ, რა დროსაც მურტალმა ხელმა საქართველოს დროშა დაფლითა? თქვენ კიდევ საბუთებს დაეძებთ, ახალახალი დამტკიცებანი გნებავთ? მაშ, ხელი შეახეთ, ურწმუნო თომაებო, საქართველოს სხეულს, და ყოვლის მხრით გადმოხეთქილი სისხლის ნიაღვარი და დაღებული წყლულებანი დაგარწმუნებენ იმაში, რომ მთელი ხალხი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით იბრძვის! შეიხედეთ თვითეულის ქართულს სახლში და თქვენ მოისმენთ გულის შემზარავ ზმუილსა და გოდებას! ვინ არიან ესენი — დათალხულნი, თმაგანწეწილნი, მტირალნი? ვის დაჰქვითინებს „ქართლის დედა?“ უთვალავ საფლავებით დაისერა საქართველოს მინდორ-ველი! უპატრონო გვამებს შავი ყორნები სჩიჩქნიან! სისხლს ველარ იტევს გაჟღენთილი მიწა...

შემოსული მტერი სისხლით გაუმაძღარია, ის თანდათანობით ჰღრღნის, ასუსტებს და აცოტავებს ქართველობას. თან ფლიდი და მატყუარაა, — ქვეყანა გამოაყრუა ჭორებით, რომ საქართველოს დამყრობის სურვილი თურმე არც ერთ კომუნისტის გულში არაოდეს აღძრულა, და რომ მხოლოდ კაცთმოყვარეობამ აიძულა მოსკოვის მთავრობა მიეშველებინა ჯარები აჯანყებული ქართველი მუშებისა და გლეხებისათვის. თბილისის სასახლეში რუსეთის ბოლშევიკებმა დასვეს რამოდენიმე ათეული რუსის ყურმოჭრილი მონა, რომელთაც საქართველოს შესარცხვენად ქართული გვარები აქვთ: ქვეყნად მოეფინა ხმა, საქართველოს თავისი საკუთარი ეროვნული მთავრობა განაგებსო. ერთ-ერთ ასეთ გვამს ჩიჩერინი დაათრევდა ევროპის სხვადასხვა ყრილობებზე, რათა ჩვენი საელჩოსათვის დაეპირისპირებინა საქართველოს „ნამდვილი“ წარმომადგენელი. და ყველამ იცის, თვინი-

ერ ღრიოდე ქარაფშუტა ევროპიელისა, რომ მთელი ეს ამბები პირწავარდნილი მასხრობაა—არც მეტი, არც ნაკლები...ხოლო ამ ყალთაბანდობას ბევრნი მოვალენი არიან გუნდრუკი უკმიონ, მზგავსად იმისა, როგორც ზოგიერთი ახლად გამოჩეკილი თაყვანისმცემელი „ნამგალ-ჩაქუჩისა“ სიხარულით ცას სწევია იმისა გამო, რომ თბილისში ქუჩის ყრილობაზე იგივე ჩიჩერინი ჩოხით გამოსულა და, მგონი, ქართულადაც მოჰსალმებია ხალხს. საქართველოს საქმე, როგორც ჰხედავთ, წინ წასულა და მის სრულს ბედნიერებას ისღა აკლია, რომ რადეკმაც ქულაჯაში მოკაზმულმა ბოლთა ჩაჰკრას რუსთაველის ქუჩაზე!

აი, ამ „მოპატიჟებულ“ მთავრობას გამუდმებულად ებრძვის ქართველი ხალხი! საოცრად გაუტანელნი-კი ვართ ქართველები და თან უმადურნიც: ძველად „მოგვიწვევია“ საიმპერატორო რუსეთის მფარველობა და პასუხი გაგვიცია უამრავი შეთქმულებით, რაიცა დაგვირგვინდა კახეთის დიდი ამბოხებით 1812 წელს. მცირეოდენი ამოსუნთქვის შემდგომ კიდევ გვიფრენია დესპანნი: მობრძანდით, დაგვეპატრონეთ! მათ ჩვენი „აჯა“ აღასრულეს, ჩვენ-კი მუხანათურად ზურგში დანასა ვცემთ!

და საჭირო არის მოსმენილ იქმნას, რომ ასეთს შეხედულებას გამოსთქვამენ არა მარტო ბოლშევიკები: ყოველი რუსი ამ ჰაზრს იცავს და ნიშნს გვიგებს, ქართველები გვეღრიჯებოდით, ხოლო ჩვენ უარს ვამბობდით მუდამ თქვენს მიღებაზეო. თუ გახსოვთ, აქ—საზღვარგარედაც—რუსები ამასვე გვიკიჟინებენ: ბატონებო, რას ჩაგვციებიხართ, დაახლოვებით ასე გვითვლიან ისინი, ისტორია თქვენი და ჩვენი ურთიერთობისა ყოველს დროს ერთი მოვლენით აღინიშნება: საქართველო ითხოვდა და იხვეწებოდა, გარნა რუსეთი ახლო არ იკარებდა მას და გადაჭრილ უარზე იდგაო!..

ამ რიგად ბოლშევიკები ისტორიას იმეორებენ და ამიტომაც არის, რომ მათს მოქმედებას ასეთი აუტანელი მასხრული დაღი აზის: ურიგო მიმბაძველებს ეს უკადრისი დანიშნულება უწინასწარმეტყველა მათმავე წინამძღოლმა მარქსმა. ქართულათ მისალმებამ და ჩოხით გამოჩენამ ეხლა აუთამაშა ტვინი ზოგიერთს მუცელზემხოხავს, თორემ დამჩაგვრელები წინათ ქართულად არამც—თუ სალამს გვაძლევდნენ, მუხამბაზებსაც-კი შემოსძახებდნენ ხოლმე სუფრაზე ჯდომისას, და ისიც ვიცით, რომ ვინც ხშირად ქართულად იკაზმებოდა, ასევე ხშირად რუსულად გვწიხლავდა!..

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ჩვენმა ხალხმა მაშინაც აწარმოვა, როდესაც რუსეთის შემოსვლა და დამკვიდრება საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერთგვარად უზრუნველჰყოფდა ქართველობას მაჰმადიანთა კვლავ შემოტევის ხალხისაგან: ასე მაგრად არის გამჯდარი ქართველობაში გარდუვალი მცნება თავის ქვეყანაში საკუთარი ნებისა და უფლების განმტკიცებისა.

დღეს ბნელს დუნდგოზე დამყარებული სხვადასხვა ჯურის ცუღლუტი ამაყად თხოულობს, რომ მას და მის ჰამქრებსაც იმავე პატივითა და კრძალვით ეპყრობოდეს ხალხი, როგორც ეს დამსახურებული ჰქონდათ საქართველოს კანონიერ პატრონებს, მისი სამკვიდრებელის შემნახველებსა და გამფართოვლებლებს. რათა? რისთვის? რომელი კეთილი საქმისთვის? იქნებ ზოგიერთს ცრუპენტელას მართლაც სჯერა, რომ დღეს საქართველოს ცაზე ფრიალებს ისეთი დროშა, რომლის დანახვაზე ოდესღაც „დაღისტნელნი ლაშქრად მორბოდნენ, ოვსნი და ჩერქეზნი წინსისხლის დათხევას ხალისობდნენ...რომლისაცა სადღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა...რომლისაცა ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა, და მესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა“?.. „ნამგლით“ ჰკაფავენ და აკუწმაწებენ საქართველოს მიწა-წყალს, გასაქანსა და გზას უადვილებენ სხვადასხვა შემოხიზნულსა და საქართველოს ლმობიერებით შენახულ ხალხებს...ხოლო „ჩაქუჩი“ ჰლურსმავს სამშობლოს კუბოს! რა ადვილი და სასიამოვნოა ასეთი დროშის შეყვარება და სისხლში ამოსვრილ მის კალთებ ქვეშ დგომა!..

საზოგადოებრივი ცხოვრების ცალმხრივ მეთვალყურეებს მიაჩნდათ, რომ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას ქართველი ხალხი მიიღებს, ვითარცა იძულებით მოვლენას, რომ ის მაინცა და მაინც თავს არ შეიწუხებს მისი დაცვითა და შენახვით, უკეთუ მას დაარწმუნებენ, რომ „საწარმოვო ძალთა“ და სხვა ამგვარ საგნების განვითარების უზრუნველყოფა საჭიროდ ჰხდის ჩვენი სახელმწიფოს მოთავსებას უფრო დიდს პოლიტიკურ ერთეულში. დამოუკიდებელი საქართველო, როგორც აღნიშნავდნენ ზემოხსენებული წრეები, უნდა ყოფილიყო „დროებით მოვლენად“, „გარდამავალ საფეხურად“ სხვანაირ სახიანობის მიღებისათვის...და ამისათვის ბევრი იწერებოდა და ბევრისაგან ბევრი ითქმებოდა! ხელმძღვანელნი სასტიკად დამარცხდნენ, ხოლო ეს გარემოება გამოდგა უდიდეს მოგებად ეროვნული სულისკვეთების კმასაყოფელ დონეზე აყვანისათვის. მოხდა უცნაური ამბავი: ხალხი არ გამოგვყვა ჩვენ; ის შუბლნაკვთიანი, სევდითა და ჯავრით მოცული ერთგულ გუშაგად აყუდებოდა სამშობლოს ალაყაფებს...ჩვენ დავუბრუნდით მას და ესეც მამულისათვის სახეირო გამოდგა! თუ გნებავთ, სწორედ ეს სურათი აცოფებს მტერს; ისედაც აწეწილი გონება, მას უბნედდება საგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხებით, როდესაც ჰხედავს გაერთიანებულს, შეუპოვარს და რკინის ნებით გაკაჟებულს საქართველოს. და მტერი მართალია, რომ მარჯვნივ-მარცხნივ ხმალს იქნევს და მუსრს გვავლებს: მას მეტი აღარაფერი დაჰრჩენია!..

ტყვია და ტყუილი—ამითი ამოიწურება მტრის ავლა-დიდება! პირველი ქართველებისითვის, მეორე უცხო სახელმწიფოებისთვის. მტერმა უწყის (და სულ თავლაყა იქნებოდა, რომ ეხლა მაინც არ მიხვედრილიყო), რომ არავითარი ნდობა და პატივისცემა არაოდეს ექნება ჩვენში. ზნეობითი დასაყრდნობლები ერთიანათ გამოცლილი აქვს მას, და ის მხოლოდ უხეშ ძალას ამუშავებს, უცხო, რუსულ ხიშტებზე ამყარებს თავის ბრმანებლობას, სხვაფრივ ხომ ერთს საათსაც წარმოუდგენელი არის მისი გაჩერება „მოპატიჟებულს“ ქვეყანაში. და განა მტერმა მართლაც არ იცის, რომ მას საქართველოში არავითარი ნიადაგი აქვს?! მუშურ-გლეხური „ხელისუფლების“ პირველი დაუძინებელი და მოსისხლე მტერი სწორედ მუშები და გლეხები არიან, სხვანაირად ეროვნული განთავისუფლების საქმე არც გვეჩვენებოდა ჩვენ ისე საიმედოთ, როგორც სინამდვილეში სწარმოებს. ამაშია ჩვენი უდიდესი ძალა და ზნეობრივი უპირატესობა, და, ვფიქრობთ, მტერს სამარეც ამითი გაეთხრება...ჯერ-კი ცეცხლითა და მახვილით ავერანებს და აწიოკებს ქვეყანას მტერი, რუსული წაღითა გვთელავს. რუსული ზარბაზნებით აცამტვერებს ყვავილოვან მხარეს.

ჩვენ დავმარცხდით. მტერმა ჯავრი იყარა, რითაც-კი შეეძლო. დღეს საქართველოში სიჩუმე ჰსუფევს. ქვეყანა გარეგნულად მიწყნარებულია: ასეთი არის წესი ომისა. ხოლო რას ჰფიქრობს ქართველი ხალხი, რა იდუმალი ნატვრანი და ზრახვანი დაგუბებულან მის გულის სიღრმეში, ეს ჩვენზე უკეთესად მტერს მოეხსენება: ვიდრე საქართველოში იარსებებს კბილებამდე იარაღ-ასხმული საჯალათო-ჩეკა, ვიდრე საქართველოს გზატკეცილებს ურიცხვი რუსის ჯარის მტვერი არ განებნევა, ქვეყნის ფიქრებიც არ გამოიცვლება! სამშობლო არ მომკვდარა და არც სძინავს... ხოლო

ბევრის ბრძოლით დაღალულსა
ეჭირვება მოსვენება!

**რაფიელ ინგილო.**

## პირველი თოვლი.

(„სამშობლო უცხოეთში„-დან)

პირველი თოვლი დაეცა ქუჩებს...
პირველი თოვლი მე მომაგონებს
მიცვალებულის გაყინულ ტუჩებს
და თეთრ კაბებში მორთულ გოგონებს.
თეთრი კაბები შევღებე შავად,
როცა წარსული გარდაიცვალა;
და ავიყვანე ავი მენავე
უცხო ქვეყნებში მამინაცვალად.
და ყოველ დილით მძიმე საყვირი
და ხმა მენავეს მოიტანს ცნობებს,
რომ შორს დავტოვე მწვანე ნაპირი,
რომ სამუდამოდ ვსტოვებ ნაცნობებს.
მწვანე ნაპირი იწვა კუბოში...
და როცა ნავმა ფრთები გამართა,
დამარხეს ჯვარი, ფარ-ხმალი, დროშა:
მთელი დიდება ჩვენ წინაპართა!
წარსულს ჭრილობა ბევრგან ატყვია...
მე მახსოვს ზვირთებს დავადე ყური;
მესმოდა: ტფილისს ვესროლეთ ტყვია
და დაუარეთ შემდეგ ლეკური.
ზვირთები მიჰყავთ თმაგაშლილ ქარებს.
დიდი მინდორი ზღვას განაცვალე.
გამხმარ თითებში მვირფას სიგარებს
აბოლებს დინჯი მამინაცვალი.
კომლი ეხვევა ქალაქებს, ჰქრება...
და ბნელ ქუჩებში მე ბევრჯელ ვნახე,
ჩემს მამინაცვალს რო ემუქრება
წითელი დროშა, ყვითელი სახე.
ვნახე სიჩქარე და მე სიჩქარეს
ვერ შეუფარდე დაღლილი ფრთები,
ვერ დავადევნე აწყვეტილ ქარებს
გადამალული ობლად ფიქრები.
აზიელი ვარ და ზანტი თვალი
ვერ მოვაშორე მოწყენილ სივრცეს.
მიყვარს უმიზნოთ გზები სავალი
და მამინაცვალს ნეტა რად მიმცეს?
მამშვენებს ჩოხა, ვიწრო საცვეთი,
შეჭრილი წელი, ოქროს ქამარი,
და უკან დამრჩა აღმოსავლეთი,
გამოუცნობი ჩემი სიზმარი.
სუბუქ-მოსხლეტით მე მივადგები
გაყინულ რკინით შეჯაჭულ კარებს;
მქონდა მზის შუქი გზებზე ნაგები...
გული ცივ რკინას არ მიიკარებს.
და როცა წინ სვლა შეიქმნა ძნელი,
და მეგობრობა დრომ არ ინება,
ქვაფენილებზე ვეღარ შევსძელი
ნაბადის გაშლა და წამინება.
და ეხლა ათოვს გაყინულ ქუჩებს...
და როგორც მორცხვი, ჩუმი მონები,
როგორც პირველი კოცნა ცხელ ტუჩებს,
ესტუმრენ ოთახს მოგონებები.

**სიმონიკო ბერეჟიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭიათურა და მოსკოვი.

ცხადი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკურ და ეროვნულ დამორჩილებას, მისი სრული ეკონომიური დაპყრობაც მოჰყვებოდა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ სტოვებს. საქართველოს მთელი ბუნებრივი სიმდიდრე ფაკტიურათ და უფლებრივათ დღეს საბჭოთა რუსეთის ხელშია. თბილისის ტიკინას, რომელსაც საქართველოს „მთავრობა“ ჰქვიან და ნამდვილად-კი მოსკოვის დაქირავებული და ყურმოჭრილი მონაა, ამ საქმისა არც ავი ეკითხება და არც კარგი. კავშირის კონსტიტუციის მიხედვით, მოკავშირეთა ბუნებრივ სიმდიდრეს განაგებს „კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო“ და ამ საბჭოსთან არსებული „მთავარი საკონცესიო კომიტეტი“. როგორც ყველა სხვა საკავშირო ორგანო, ეს ორგანოებიც მხოლოთ რუსებისაგან არის შემდგარი. ავიღოთ „სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო“. თავმჯდომარეა მერჟინსკი; მის მოადგილეებათ—პიატაკოვი და ვლადიმიროვი; საბჭოს წევრებათ არიან—ბოგდანოვი, ლიუბიმოვი, დოლგოვი, სერედა, სუდაკოვი, იულინი, შანცევი, ეისმონტი, ლომოვი, ჩუბაროვი, გოლცმანი, სულიმოვი, ქსანდროვი, მაქსიმოვი, ლობოვი და მეჟლუაკი. ეხლა ვნახოთ „მთავარი საკონცესიო კომიტეტი“: თავმჯდომარეა—პიატაკოვი; მის მოადგილეთ-პრეობრაჟენსკი; კომიტეტის წევრებათ არიან: ლიტვინოვი, მინკინი, კრასინი, სირომოლოტოვი, ლეპსე, გორევი, დოგადოვი და კაკტინი. (ბუდუ მდივანი, რომელიც წევრათ ირიცხება, სათვალავში ჩასაგდები არაა.)

ვინ არიან ესენი? რა ჰქონიათ, რა აქვთ, ან რა ექნებათ საერთო ჭიათურასთან, საქართველოსთან, ქართველ ხალხთან? უცხონი—წარმოშობით, უცხონი არიან ჩვენი ქვეყნისათვის თავიანთი სისხლით და ხორცით, თავიანთი სულით. მათი შეგნება, განცდა და მისწრაფება, მათივე ბიოლოგიური და რასიული დეტერმენიზმის ძალით, ხომ არ შეიძლება იყოს ქართული როგორც შეგნება და განცდა, როგორც მისწრაფება?! ამ გადამთიელთ ორგანიულათ არ ძალუძთ საქართველოს ინტერესის გაგება და დაცვა! ეს წრე, ბუნების ყოვლად აუცდენელ კანონთა ძალით, ყველაფერს მხოლოთ რუსეთის ინტერესის მიხედვით გაზომავს და გადაჭრის. და საკითხავია, აბა რა უფლებით უნდა გადასჭრან ქართველი ხალხის სიმდიდრეთა ბედი,—საქართველოს უმთავრესი სასიცოცხლო საკითხი პიატაკოვებმა?! როდის მიანდო მათ ქართველმა ხალხმა ამის უფლება? სად ნახა ესენი, ან როდის აირჩია?!

ერთად ერთი საქართველოს სავალიუტო საგანი ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში, ეს იყო ჭიათურის შავი ქვა. ეს იყო საქართველოს ხაზელმწიფოებრიობის უძლიერესი ეკონომიური ძარღვი და ეს ძარღვი მოსკოვმა დღეს გამოაცალა საქართველოს სხეულს. ამ ხალხის დადგენილებით და ჩიჩერინისა და მერჟინსკის ხელმოწერით ჭიათურის შავი ქვის კონცესია ამ თვის 12-ს გადაეცა „ჰარიმანის“ ამერიკულ ფირმას.

სამშობლოს მოღალატე ქართველი კომუნისტები კარგა ხანია გრძნობდენ, რომ ჭიათურა ხელიდან მიუდიოდათ. რა იყო აქ გასაკვირი? როდესაც სამშობლო რუსეთის საოკუპაციო ქვეყნად გადააქციეს, რუსეთის გუბერნიათ, საქართველოს სიმდიდრეს აბა როგორ შეინარჩუნებდნენ! და მთელი მათი უაზრო წყვეტება და გარბენ-გამორბენა მოსკოვ-თბილისს შუა უნაყოფოთ დარჩა. ჭიათურა მოსკოვმა წაიღო და გასცა. ამ უფლების საფასურათ მოსკოვის მთავრობას და არა საქართველოს „მთავრობას“, კონცესიონერებისგან ეძლევა გატანილ ტონნაზე 3-4 დოლარი შავქვაში და 8-9 დოლარი პეროქსიდში,—რაც, გასატანათ ნავარაუდევი ოდნობის კვალობაზე, საკონცესიო ვადის განმავლობაში, 70 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. ეს ქართველი ხალხის უდავო შემოსავალი, კავშირის საბიუჯეტო კანონის მიხედვით, მოსკოვის საკავშირო კასაში მიდის და ხმარდება კავშირის საჭიროებას, იმ წითელ არმიას და გეპეუ-ჩეკას, რომელიც ქართველ ხალხს ასე უმოწყალოთ ხოცავს და ჟლეტს. ჩვენის ქონებით ძღება და ჯანს ინახავს ჩვენივე გამანადგურებელი რუსის წითელი სალდათი და ჩეკისტი! აი ჩვენი მუშურ-გლეხური „მთავრობის“ ღვაწლი საქართველოს ხალხის წინაშე!

ერთი მრავალთაგანი!

პ ა ტ რ ი ო ტ ი.

## ჭიათურის საკონცესიო ხელშეკრულება.

ხელშემკვრელი მხარეებია: „ჰარიმანიის“ ამერიკული კომპანია და საბჭოთა კავშირი. პირველის სახელით ხელს აწერს ჯონ სნიტ ელიოტი, ამ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი; მეორის სახელით ჩიჩერინი და მერჟინსკი. ხელმოწერა მოხდა მოსკოვს. კონცესია დაიდვა 20 წლით. კონცესიონერს ენიჭება მონოპოლიური უფლება როგორც ჭიათურის მადნიანი ადგილების გამოცნობის, დამუშავების და ექსპლუატაციის, ისე ამ ადგილებიდან შავიქვისა და პეროქსიდის ექსპორტისა.

კონცესიონერს უფლება აქვს ისარგებლოს, თავის კონცესიის საჭიროებისათვის, ხე-ტყით, წყლებით და მიწის ზედაპირით, მთელი კავშირის ტერიტორიის სივრცეზე. მას აქვს უფლება უბაჟოთ შემოიტანოს უცხოეთიდან ის მანქანები და საგნები, რაც მას დას-

ჭირდება, პირველ 4-5 წლის განმავლობაში, დღიდან კონცესიაზე ხელის მოწერისა. გარდა წვრიმალი გადასახადებისა როგორიცაა—საპატენტო, საღერბო, სამოსამართლო და სხვა, ყველა სხვა გადასახადებისაგან კონცესიონერი განთავისუფლებულია,

კონცესიონერი მოვალეა: ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით მოაწყოს და ექსპლოატაცია უყოს ამ საკონცესიო ანტრეპრიზას. მაგალითად, პირველ 3½ წლის განმავლობაში უნდა გააშენოს ახალი სარეცხი ქარხნები და გაამექანიუროს ადგილიდან ამ ქარხნებამდე მადნის მიტანა; ხოლო მეხუთე წლის ბოლოსთვის ფოთში უნდა გაიმართოს ელავატორი, რომლის დამტვირთავი ძალა 2.000.000 ტონნას უნდა უდრიდეს. ამავე ვადისთვის მან უნდა გადააკეთოს ჭიათურის რკინის გზის ვიწრო ლიანდაგი ფართო ლიანდაგათ. კონცესიონერი მოვალეა მთავარი ლიანდაგიც შეაკეთოს იმ ადგილიდან, სადაც ჭიათურის მტო უერთდება, ვიდრე ფოთამდე. ყველა ამაებზე მან უნდა დახარჯოს 4.000.000 დოლარი: ერთი მილიონი—ელევატორზე, ორი მილიონი—რკინის გზაზე და არა ნაკლები ერთი მილიონის—სარეცხ მანქანებზე. კონცესიონერი გარანტიას იძლევა, რომ საკონცესიო ვადის ბოლომდე 16.000.000 ტონნა ქვანახშირსა და პეროქსიდს გაიტანს. კონცესიაში დაწესებულია ყოველწლიური მინიმალური ექსპორტი; დაწესებულია აგრეთვე ყოველწლიური მინიმალური წარმოება: პირველ წელიწადში უნდა დაამზადოს 300.000 ტონნა, მეორეში—400.000, მესამეში—450.000 ტონნა და შემდეგ წლებში არა ნაკლებ 500.000 ტონნისა. კონცესიის უფლებისათვის, კონცესიონერი პირველ სამ წელიწადში მთავრობის სასარგებლოთ იხდის სამ დოლარს, ხოლო შემდეგ წლებში—4 დოლარს შავქვის ყოველ გატანილ ტონნაზე. რაც შეეხება პეროქსიდს, გატანილ ტონნაზე იხდის 8 მანეთს პირველ სამ წელიწადში, შემდეგში-9 დოლარს. გატანილი პეროქსიდი გატანილი შავქვის ოთხ პროცენტზე ნაკლები არ შეიძლება იყოს. მთავრობას მოგების 50% მიაქვს იმ შემთხვევაში, თუ შავიქვის ფასმა განსაზღვრულ ღირებას გადააჭარბა. კონცესიონერს შეაქვს ერთ-ერთ უცხოეთის ბანკში ერთი მილიონი დოლარი საწინდრათ ხელისმოწერის დღიდან სამკვირის განმავლობაში და ერთი მილიონი დოლარი ავანსათ, მომავალი გადასახადის ანგარიშში, სახელმწიფო ბანკში, „ჩემოს“ გაუქმების შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში.

კავშირის მთავრობას რჩება ამ საკონცესიო რაიონში ერთი ნაჭერი მიწა ვარაუდით 15.000.000 ტონნის შემცველი, რომ გამოიყენოს, როგორც უნდა ისე, შინაური მოხმარების დასაკმაყოფილებლათ. მასვე აქვს უფლება, ღირებულების ფასებში, შავიქვა იყიდოს საბჭოთა კავშირის მრეწველობის საჭიროებისათვის, პირდაპირ კონცესიონერისგან.

### კონცესიის გარშემო.

**ნოტა.** ამ სამი თვის წინათ, როდესაც გამოირკვა, რომ ჭიათურის შავი ქვის კონცესია „ჰარიმანის“ კომპანიაზე გაიცემოდა, საქართველოს ელჩმა, ბ-ნმა ა. ჩხენკელიმ სათანადო ნოტა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს პარიზში, ბ-ნ მაირონ ჰერიკს. ამ ნოტაში საქ. ელჩი უარყოფს საბჭოთა კავშირის უფლებას საქართველოს სიმდიდრის გაცემის საქმეში და უმალოთ და არარათ აღიარებს, ქართველი ერის სახელით, მის მიერ დადებულ ყოველ ამგვარ ხელშეკრულებას.

—მოლაპარაკება კერძო მრეწველებთან. მთავრობისგან კონცესიის აღების შემდეგ „ჰარიმანის“ ფირმა შეუდგა მოლაპარაკებას შავიქვის კერძო მრეწველებთან, ინტერესების შესათანხმებლათ. ამ მიზნით, ამ ფირმის ერთი წარმომადგენელი ბ-ნი ელიოტი და ბ-ნ კოტე ჯაყელი ლონდონს წამოვიდენ, ხოლო მისი მეორე წარმომადგენელი ბ-ნი რასკოვიჩი და ალექსანდრე ჯაყელი-კი თბილისს, რომ ერთსა და იმავე დროს აწარმოვონ მოლაპარაკება ქართველ და უცხოელ შავიქვის მრეწველებთან.

—სომხების ჩასახლება ამიერ-კავკასიაში. როგორც ვიცით, 700.000 სომხის ემიგრანტია დღეს გაბნეული მთელს ევროპაში. ამ საგანს საგანგებო ყურადღებას აქცევს შრომის ინტერნაციონალური ბიურო, რომელიც დაარსებულია ხალხთა ლიგასთან.

ბიურომ გადასწყვეტა, ამ რამ დენიმე თვის წინათ, რომ ამიერ-კავკასიაში და კერძოთ სომხეთში გაგზავნილიყო საეტიუდო კომისია, იმის გამოსაკვლევათ, თუ რამდენი ემიგრანტის ჩასახლება იქნებოდა იქ შესაძლებელი. ამ ჟამათ, გასაგზავნათ განმზადებულია 10.000 კაცამდე. საბჭოთა კავშირის მთავრობა თანახმაა სომხის ემიგრაცია მიიღოს, ოღონდ მოითხოვს რომ თითეულს თან 150 დოლარი ჰქონდეს. ამ თანხის შოვნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ სახეში მივიღებთ, რომ ამერიკის მდიდარი სომხობა და თვით ამერიკელები ამგვარ საქმეს ყოველთვის მხურვალე თანაგრძნობით ექცევიან. ამას გარდა, იმის იმედიც აქვთ, რომ გამოქვეყნდება თუ არა საეტიუდო კომისიის გამოკვლევა, ინგლისის თემთა პალატაში საკითხი დაისმება, რომ სომხის ემიგრაციას დახმარება გაუწიონ, ეკონომიური ამელიორაციის მოსახდენათ თავის ახალ ბინაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტიუდლ კომისია ნანსენის მეთაურობით დღეს ამ საქმეს უკვე ადგილობრივ იკვლევს.

—ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ლორდმა ბერკენჰედმა მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა ბოლშევიკების წინაღმდეგ, რომელთაც მძარცველთა და მკვლელთა „შაიკა“ უწოდა.

—გაზეთ „ტანი“ გადმოგვცემს, რომ უკვე შეთანხმება არის მიღწეული დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა და იაპონო-ჩინეთ შორის რომ საერთო პოლიციური ღონისძიებით შეებრძოლონ კომუნისტურ პროპაგანდას.

—საფრანგეთში და ბელგიაში იჭერენ და აძლებენ რუსის და ჩინელ კომუნისტებს.

—საფ. დეპუტატთა პალატაში მაროკოს ამბების შესახებ გამართული საპარლამენტო დებატები დასრულდა მთავრობის მიმართ ნდობის რეზოლუციის მიღებით 510 ხმით 30-ის წინააღმდეგ,

—გერმანიამ მიიღო მოლაპარაკების საფუძვლათ საფრანგეთის საპასუხო ნოტა პაკტის შესახებ.

—ჩინეთის აჯანყებამ უცხოელთა წინააღმდეგ, პირველი მწვავე პერიოდი გამოიარა და ამ ჟამად ერთგვარ დაცხრობას განიცდნს.

## საქართველო შინ და გარეთ.

—„საქართველოს მეგობართა საზოგადოება.“ 1921 წლიდან ლონდონში არსებობს ეგრედ წოდებული „საქართველოს კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარეა ბ-ნი ს. ე. მორისი. „ტაიმსის“ 23 ივნისის ნომერში მოთევსებულია წერილი-მოწოდება, რომელიც მოკლეთ აზნუსხავს საქართველოს ამ ოთხი წლის ტრაღიკულ თავგადასავალს და მოუწოდებს ინგლისის საზოგადოებას რომ სათანადო დახმარება გაუწიოს აქ მაინც უცხოეთში, გაჭირვებაში ჩაცვივნულ, ქართველ ლტოლვილებს, თუ იქ საქართველოში ვერაფრით მიეშველება. წერილის ავტორები უფრო სასურველათ სცნობენ, რომ „საქართველოს კომიტეტი“ გადაკეთდეს საქართველოს მეგობართა ფართო საზოგადოებათ და დაარსდეს ფონდი ქართველ ლტოლვილთა დასახმარებლათ. ხელისმომწერთა შორის არიან ტრავაისტთა ყოფილი მთავრობის პრემიერი მაკდონალდი და ფინანსთა მინისტრი სნოუდენი.

—«Chicago Tribune». ამერიკული გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნის“ 14 ივნისის ნომერში მეთაური წერილია საქართველოს შესახებ. ავტორი იწერება თბილისიდან, სადაც მას ლაპარაკი ჰქონია ორახელაშვილთან. წერილში ნათქვამია, რომ საქართველო შეურიგებელია რუსეთის საოკუპაციო რეჟიმთან და რომ ეროვნულ ბრძოლას თავისი სიმკაცრე არ განელებია. აჯანყების მიზეზად ორახელაშვილს მოუყვანია [illegible]-რობა და არ დაუმალავს, რომ მის ჩასაროქბათ რუსეთიდან საჩქაროთ ჯარები გამოიწვიეს.

—ქართველ სტუდენტთა შორის. კვირას, 12 ივლისს, 74, rue Vaugirard, შესდგება საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირის წევრთა კრება. დღის წესრიგი: მოხსენება ბ-ნ კოტე კობახიძისა — „ქართველი ახალგაზდობა დღეს“ და მორიგი საკითხები. წევრებს სთხოვენ—დაესწრონ.

**პოლონეთში** — ქართულ კომიტეტის ინიციატივით და პოლდნელ ქალებისა და ქ-ბნ პრნიცესსა ბაგრატიონის გულწრფელი დახმარებით მოწყობილ იქმნა, ამა წლის მაისის 30-ს „ევროპიულ სასტუმროს“ დარბაზებში საღამო, რომელმაც ძალიან კარგათ ჩაიარა. ქ-ნ გიორგიადისამ გრძნობით იმღერა ქართული რომანსები. მშვენივრად იქმნა შესრულებლუი ქართული ცეკვები. საღამოს დიდი საზოგადოება დაესწრო, მათ შორის პოლონეთში ჩამოსული ინგლისის პარლამენტის წევრები. წმინდა შემოსავალი დარჩა 850 პოლონური ოქრო. ქართულ კომიტეტმა ეს ფული გაანაწილა პოლონეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა და კოლონიის გაჭირვებულ წევრთა შორის.

—ქართულმა კომიტეტმა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის, 26 მაისის, საზეიმოდ, გამართა აკადემია-კონცერტი, რომელიც მოაწყო ქ. ვარშავის თვითმართველობის დარბაზში 31 მაისს დღის 12½ საათზე—შემდეგი შინაარსით: ბ-ნი რ. ყაზბეგი კომიტეტის სახელით მიესალმა დამსწრეთ ქართულ ენაზე—რაიცა შემდეგ პოლონურად ითარგმნა; ბ-ნი გ. ყაზბეგი თავის სიტყვაში, პოლონურ ენაზე, მოკლედ შეეხო საქართველოს ისტორიას; პოლონეთის მწერალმა, საქართველოს წარსულის კარგად მცოდნე, ბ-ნ სერაშევსკიმ დიდი გრძნობით დაასურათა საქართველოს და ქართველ ხალხის მდგომარეობა. დასასრულ, ბ-ნ ა. გოძიაშვილმა, კომიტეტის და კოლონიის სახელით, მიჰმართა პოლონეთის საზოგადოებას სამადლობელი სიტყვით პოლონეთის და საერთოდ პოლონელების საქართველოსთვის გულწრფელი გრძნობებისთვის. შემდეგ დაიწყო კონცერტი, ვარშავის კონსერვატორიის პროფესორების უანგარო მონაწილეობით: იმღერა ქ-ნი ტრონბჩინსკიმ; დაუკრეს ქ-ნმა რობცივიჩოვისა და ბ-ნი კოხანსკიმ. ყველამ შეასრულა ქართულ-აღმოსავლური კილო-მელოდიები. ქ-ნ გიორგიადისამ შესანიშნავად იმღერა ქართული რომანსები ქართულ ენაზე. საღამოს პროგრამამ და აღსრულებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

—„კომუნისტური საქმიანობა“. სოფელ მეტეხში კომუნისტმა ნომა თაბორიძემ წვრილი ქურდობა ჩაიდინა სახიდე მასალის. ეს ხალხში გახმაურდა. გამოსაძიებლათ დანიშნულმა კომისიამ ქურდობა დაადასტურა. თაბორიძე „ბანდიტის“ სახით ერთ თავის აგენტს მიუგზავნის ამ კომისიის წევრებს, რომელიც მათ დახმარებას და გზის ჩვენებას თხოვს. კომისიის წევრები პურს მისცემენ და გაისტუმრებენ. „ბანდიტი“ ამ პურით ბრუნდება თაბორიძესთან. კომისიის წევრებს თაბორიძე იჭერს და მოღალატეობას აბრალებს, რასაც იქვე უმტკიცებს გაცემული პურის წარდგენით. შედეგათ კომისიის ორი წევრი უმაღლესი სასჯელით—დახვრეტით იქმნა დასჯილი,

ვინ ჩამოთვლის, თუ რამდენი თაბორიძეები ჰყავს საქ. კომპარტიას და რამდენი უდანაშაულო ქართველია დახვრეტილი მათი პროვოკაციით?!

—სოფელი ყანდაურის (სიღნაღის მაზრა) გლეხკომის თავმჯდომარე ვინმე ფხალაძე ბოროტად სარგებლობს თავის მდგომარეობით და სოფლის ქონებას ფლანგავს და ითვისებს. უკანასკნელად სოფლის სახელზე გამოტანილი 150 ფუთი შაქარი განზე გაუყიდნია. სარევიზიო კომისია ხშირად სწვევია, ბოროტმოქმედებაც აღმოუჩენია, მაგრამ ფხალაძე მაინც თავის ადგილზე დარჩენილა. „მე ისეთი მფარველი მყავს, რომ ვერავინ ვერაფერს დამაკლებსო“ გაიძახის თურმე ფხალაძე. დაკანონებული წართმევისა და ყაჩაღობის რეჟიმში ქურდები და ყაჩაღები რომ ერთმანეთს მფარველობენ, ეს გასაკვირი არაა.

—საბჭოთა საქართველოში ეპიდემიური ხასიათი მიიღო თანამდებობის პირთა დანაშაულმა; ამ წრეში ქურდობა, თვითნებობა, მურისძიება და სხვა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. ხშირად ხდება, რომ ერთ ადგილას გამოაშკარავებული დამნაშავე, სხვაგან მიდის და იქ წარმატებულ თანამდებობას მოულობს. ამ გარემოებას ეხება გაზეთი „კომუნისტის“ (№122), მეთაური წერილი; იგი ასახელებს რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს და სხვათა შორის ამბობს: „გახშირდა თანამდებობის პირთა დანაშაულება. ბევრგან აღმოშფოთებელ სისამაგლეს აქვს ადგილი. თანამდებობის ბოროტი გამოყენება და ეს არა მარტო წვრილფეხა, არამედ „მომსხო“ და პასუხისმგებელ მუშაკების მხრივაც გამონაკლისს არ შეადგენსო“.

რასაც დათესთ, იმას მოიმკით.

—საქართველოს განძეულობის დაბრუნება. საქარ. ცენტრარქივის რწმუნებულმა ბ-ნს ჩხეტიამ ამ უკანასკნელათ მოსკოვიდან ჩამოიტანა 90 უძველესი ხელთნაწერი და ისტორიული განძეულობა, რომელიც გაბნეული იყო რუმიანცევისა და რუსეთის ისტორიულ მუზეუმში, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმში და რუსეთის სახალხო ბიბლიოთეკაში, პეტროგრადს. ამ გამოტანილ ნივთთა შორის აღსანიშნავ[illegible] „ვეფხის ტყაოსანი“, მე-XV-ე საუკუნის; ერთი ფსალმუნის მინიატურიანი ხელთნაწერი; ვახუშტის „საქართველოს ისტორია და გეოგრაფია“ გეოგრაფიული ატლასით და ე. წ. ოთხთავი სახარება მეცხრე საუკუნისა.

წერილები რედაქციის მიმართ:

I.

დ. პ. ბ-ნო რედაკტორო,

დღეს, ჩვენი დიდი ზეიმის დღეა.

ჩვენს ემიგრაციულ ოჯახში ვღირსეთ ჩვენ სამშობლო ეროვნულ ორგანოს. გამოუთქმელია ჩვენი სიხარული და აღტაცება. ვესალმებით მველ, ჩვენ წინაპართა ნაცად გზას—გზას ეროვნულს, უპარტიოს, მტკიცეს და შეურყეველს. უკუვაგდოთ პარტიული დამღუპველი გეგემონია და გავშალოთ სამფეროვანი ეროვნული, წამებული დროშა.

ამ ეროვნულ ამოქმედებით, ამ ეროვნული დალოცვილი გზით გვწამს დავიბრუნებთ ჩვენს დიდებულ სამშობლოს.

თამამად და შეუპოვრად ამ პოზიციებზე!

სიხარულით და ღიმილით სიკვდილის შეხვედრა მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოსათვის.

ქართველი ემიგრანტები.

ვარშავა.

II.

ბ-ნო რედაკტორო, ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უარვყო ის ცრუ და პროვოკაციული ხმები, რომელსაც პრაგაში მყოფი ზოგიერთი დაინტერესებული პირი ჩემს შესახებ ავრცელებს. მე ჩემი შეხედულება არ გამომიცვლია და ვარ ის, რაც ვიყავი წინათ—ქართველი ოფიცერი—პატრიოტი. მიყვარდა და მიყვარს ჩემი სამშობლო და მზად ვარ მისთვის მსხვერპლი გავიღო. ჩემს პატრიოტობას და სამშობლოს სიყვარულს მე არ ვუკავშირებ რომელიმე პიროვნების ან პარტიის მიმდევრობას, რაგინდ ძლიერიც არ უნდა იყოს იგი. შეიძლებავისმეს მე ამიტომ არ მოვწონვარ, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. ამიტომ ბატ. აიოლომ და მისმა ჯგუფმა, რომელიც უმთავრესათ ასეთ ხმებს ავრცელებს, „სმენოვეხელები“ ეძებოს თავის წრეში; ალბათ იქ აღმოჩნდებიან ისეთი პირები, რომლებსაც კომუნისტებთან მიწერ-მოწერა აქვთ და რომლებსაც კომუნისტები 3-4 საათით დარბაზობენ და ემუსაიფებიან.

პატივის ცემით ქარ. ჯარის ოფიც. შ. ორჯონიკიძე.

ჩეხია. 20-VI-25.

Le Gérant: Félix Kaldenbach.

Imp. DANZIG, 26, Rue des Francs-Bourgeois, PARIS